# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 114

„3" ოქტომბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

**ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ჯავახეთის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის იმედა კახნიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ**

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის პ/ქვეპუნქტის და „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2011 წლის 27 მაისის №6-27 გადაწყვეტილების თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) სამგორის რაიონში, ჯავახეთის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს 2008 წლის ნოემბერში დაღუპული შსს თანამშრომლის, იმედა კახნიაშვილის, სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ ორი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი



X_489331.4382
Y_ 4616259.7549
ომარ ხიზანიშვილის ქუჩა
X_489170.5605
Y_ 4616125.0866